



**ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნითა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო**

26 ოქტომბერი 2023


MOH 2 23 00000331

ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ) გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) და

„ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ) გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ - კლინიკური გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ2“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები), კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) და დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკვლევის შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 17 მაისის N32/ნ ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული:

ა) „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ) გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №1;

ბ) „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ) გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ - კლინიკური გზამკვლევი - დანართი №2.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

